

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2008 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

2008 წელს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე გავლენა იქონია 2007 წლის მიწურულსა და 2008 წლის დასაწყისში ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, რომელთა ერთ-ერთ შედეგად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა იქცა.

1. გენერალური დირექტორის არჩევა

2008 წლის მარტში ახლადარჩეულმა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე. ორეტაპიანი კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობდა 30-ზე მეტი პრეტენდენტი. საბჭომ დეტალურად განიხილა ყველა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენდა მაუწყებლის განვითარების ავტორისეული ხედვა. კონკურსის მეორე ეტაპზე გავიდა 8 პრეტენდენტი, რომლებთან ჩატარებული გასაუბრებების შემდეგ საბჭომ 4 აპრილს საჯარო, ფარული კენჭისყრით გენერალურ დირექტორად აირჩია ლევან ყუბანიშვილი.

2. საპარლამენტო არჩევნები, მემორანდუმი

ახლადარჩეული საბჭოსათვის საზოგადოების წინაშე პირველ სერიოზულ გამოცდად 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, კერძოდ კი წინასაარჩევნო მართონის მაუწყებლის ეთერით გაშუქება იქცა. საბჭო გამოვიდა ახალი ინიციატივით – არჩევნებში მონაწილე პარტიებს ხელი მოეწერათ შესაბამისი მემორანდუმისათვის, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში პარტიების აქტივობების გაშუქების ნორმატივებს და იმავდროულად აზუსტებდა მაუწყებელსა და პარტიებს შორის ურთიერთვალდებულებებს. მემორანდუმს ხელი არჩევნებში მონაწილე 12-ვე პარტიამ მოაწერა (იხ. www.gpb.ge, ბმული „სამეურვეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგი“, დოკუმენტები: „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მემორანდუმი“ და „პარტიების პრეზენტაციებისა და დებატების გრაფიკი“).

ამავე მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად იქცა ქართული ტელევიზორისათვის პირველი – არხის საზოგადოებრივი მონიტორინგის პროექტი. პროექტის გარგლებში გადაიცა 5 გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოს წევრები, 12-ვე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და არჩევნებზე მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გადაცემის მონაწილეები ყოველი კვირის ბოლოს ღია ეთერში აფასებდნენ მაუწყებლის საქმიანობას არჩევნების გაშუქების მიმართულებით, აფიქსირებდნენ ჟურნალისტური ეთიკის, ბალანსის დარღვევის ფაქტებს, მსჯელობდნენ ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსწორების გზებზე. შემაჯამებელ გადაცემაში პროექტის ყველა მონაწილემ ღიად დააფიქსირა, რომ საარჩევნო პერიოდში მაუწყებლის მუშაობა მაღალ შეფასებას იმსახურებდა (სსმ-ის ტელეეთერი 21.05.2008).

3. კრიზისული ვითარებები

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, საკუთარი დადებითი შეფასებების მიუხედავად, რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ მაუწყებლის მიმართ პრეტენზიები წამოაყენა.

საინფორმაციო სამსახურის მუშაობაზე ზედამხედველი, დამოუკიდებელი ჟურნალისტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის ამოქმედების მოთხოვნით (რეალურად კი ცენზორების ინსტიტუტის აღდგენის მცდელობით) პარტიები შეეცადნენ, უკანონოდ ჩარეულიყვნენ მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში. ამ მცდელობას საბჭომ ერთსულოვანი, მტკიცე უარით უპასუხა (იხ. www.gpb.ge, ბმულები „გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნები - 28.05.2008“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დადგენილება - 30.05.2008“). გამონაკლისი საბჭოს თავმჯდომარე აღმოჩნდა, რომელმაც საზოგადოებას თავისი გადაგომის შესახებ აუწყა.

სამწუხაროდ, მსგავსი ვითარება განმეორდა 2009 წლის აპრილში პოლიტიკური კრიზისის დროსაც, როდესაც ევროკავშირის მისიის მიერ მაუწყებლის საქმიანობის დადებითი შეფასების მიუხედავად (სსმ-ის ტელეეთერი 09.04.2009), პოლიტიკური პარტიების ერთმა ნაწილმა მაუწყებელი არაობიექტურობაში დაადანაშაულა. შედეგად საბჭო კიდევ სამმა წევრმა დატოვა.

4. ახალი პროგრამული პრიორიტეტები

მაუწყებლის გარშემო ატეხილი არაჯანსაღი აჟიოტაჟის მიუხედავად, 2008 წლის 30 მაისს საბჭომ შეძლო თავისი უმთავრესი ფუნქციის უმოკლეს ვადებში შესრულება და საზოგადოებრივი განხილვის შემდეგ შეიმუშავა და დაამტკიცა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები (იხ. www.gpb.ge, ბმული „პროგრამული პრიორიტეტები“).

2008 წლის ზაფხულში საბჭომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან, რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაგეგმა. ამ მუშაობის მთავარი მიზანი ახალ სამაუწყებლო ბადეში საზოგადოების ყველა სამიზნე ჯგუფის ინტერესების შესწავლა და მაქსიმალურად გათვალისწინება გახლდათ. გეგმის ფარგლებში ივნისი და ივლისი საბჭომ მაუწყებლის საზოგადოებრივ საბჭოებთან აქტიურ მუშაობას დაუთმო. სამწუხაროდ ეს პროცესი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა შეაჩერა.

5. ახალი სატელევიზიო ეთერი, პირველი შეფასება

განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს ის ფაქტი, რომ ახალი ეთერის ფორმირება დაუკავშირდა სწორედ ამ ფორსმაჟორულ და უმძიმეს პერიოდს მთლიანად ქვეყნისა და, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის ცხოვრებაში. ომის დაწყებამ განაპირობა დაგეგმილი პროგრამული ტენდერების ჯერ გადადება და შემდეგ მათი უმოკლეს ვადებში ჩატარება, რამაც გადაცემების პროგრამულ ხარისხზე იმოქმედა.

2008 წლის 4 დეკემბრიდან საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს განახლებული სატელევიზიო ეთერით წარუდგა. მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საეთერო ბადის მრავალფეროვნება (25-მდე ახალი პროგრამული პროდუქტი) და არხის გამომსახველობითი ხარისხის ზრდა.

დადებით ტენდენციებთან ერთად, პროგრამული პროდუქტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ ასახა სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებული პროგრამული პრიორიტეტები. მაუწყებლის მმართველობის მიერ წარმოდგენილ კვარტალურ ანგარიშში კი ძალზე მოკლედ აისახა რადიოს და მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის საქმიანობა.

სამეურვეო საბჭოს განსაკუთრებული შემფოთება გამოიწვია:

- მკაფიო, დოკუმენტურად დასაბუთებული კრიტერიუმების არარსებობამ, რომელთა მიხედვითაც ხდება სატელევიზიო პროექტების შიდა, ან გარე წარმოებად გამოჯვანა.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის გარე წარმოების სტუდიების მიერ მაუწყებლის შიდა რესურსების (მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური) გამოყენების შეუფასებლობამ, რაც ზრდის საზოგადოებრივი სახსრების არაადეკვატურად გამოყენების რისკს; გაურკვეველია და ზუსტ განსაზღვრას არ ექვემდებარება კონკრეტული (შიდა, ან გარე) პროექტის თვითღირებულება.

სამეურვეო საბჭომ მმართველობის საქმიანობა დეტალურად შეაფასა (იხ. www.gpb.ge, ბმული

„სამეურვეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგი“ 13.02.2009 სხდომის ოქმი #95).

6. ბიუჯეტირება. სააღრიცხვო პოლიტიკა

ორგანიზაციაში არსებული ბიუჯეტის სტრუქტურა არ პასუხობდა იმ საინფორმაციო მოთხოვნებს, რომელიც საშუალებას მისცემდა ამ ინფორმაციის მომხმარებლებს, შეეფასებინათ ორგანიზაციის დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების ადეკვატურობა.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის, ასევე ფინანსური ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამეურვეო საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა სააღრიცხვო პოლიტიკის სტრუქტურული საფუძვლები, რომელმაც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლად განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), ასევე ჩამოაყალიბა ორგანიზაციის ბიუჯეტის სარეკომენდაციო ფორმა – ფინანსური გამჭვირვალობის თვისობრივად გასაუმჯობესებლად. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტს ჯერჯერობით არ გადაუდგია რეალური ნაბიჯები ამ დოკუმენტის მოთხოვნების შესასრულებლად.

7. 2008 წლის ფინანსური აუდიტის შედეგები

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ჩატარდა 2008 წლის ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო გარე აუდიტი.

დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ წარმოდგენოსლ დასკვნაში აუდიტორი აღნიშნავს, რომ „2008 წლის განმავლობაში სსიპ მენეჯმენტმა დაიწყო სრულყოფილი ინვენტარიზაციის მოსამზადებელი სამუშაოები და განახორციელა... 2,506,818 ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი საშუალებების მარკირება... გარდა მარკირებული ძირითადი საშუალებებისა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული ძირითადი საშუალებების ... არსებობის დადასტურება სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების საშუალებითაც.“ აღნიშნული მიუთითებს გარკვეულ პროგრესს, რადგან 2007 წელს ვერ მოხერხდა ძირითადი საშუალებების თუნდაც ნაწილისთვის ადეკვატური აუდიტორი პროცედურების ჩატარება, თუმცა, დანარჩენი ძირითადი საშუალებების ჯამური ნარჩენი ღირებულება, რომელზეც აუდიტორმა ვერ გამოხატა თავისი მოსაზრება, არსებითია და შეადგენს 12,768,748 ლარს (მთლიანი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების 84%).

ასევე ვერ მოხერხდა 2,467,972 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების ნაშთის დადასტურება აუდიტორის მიერ. ამის მიზეზად დასკვნაში მითითებულია ის ფაქტი, რომ

აუდიტორი დაინიშნა 2009 წლის მარტში და ამიტომ მან ვერ განახორციელა ინვენტარიზაციის პროცესზე დაკვირვება, მაშინ როდესაც სამეურვეო საბჭომ კონკურსის საფუძველზე აუდიტორი შეარჩია 2008 წლის ივლისში.

ამრიგად, აუდიტორმა ვერ გამოხატა თავისი მოსაზრება 15,236,720 ლარის აქტივებზე, რაც მთლიანი აქტივების 58%-ს შეადგენს.

ასევე არ მოხერხდა 1,466,744 ლარის კრედიტორული დავალიანებების დადასტურება, რაც გულისხმობს რისკის არსებობას, რომ ამგვარი დავალიანებები უფრო მეტი იყოს, ვიდრე ასახულია ბალანსში.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებლის 2008 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისად სანდო (საიმედო) ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური ასპექტის შესაფასებლად.

აღნიშნული საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას, რისთვისაც აუდიტორის დასკვნისა და წინამდებარე ანგარიშის წარდგენებს შორის დროის პერიოდი არ იყო საკმარისი.

8. მიმდინარე პროექტები: BBC, შიდა რეგულაციის დოკუმენტები, საკანონმდებლო ინიციატივები, მეორე არხი

- პარალელურად 2008 წლის ნოემბერ-დეკემბერში საბჭო აქტიურად ჩერთო ევროკავშირის პროექტის განხორციელებაში, რომელიც გულისხმობს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პერსონალის სრულ პროფესიულ გადამზადებას ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის (BBC) ექსპერტების მიერ. პროექტის ფარგლებში საბჭოს წევრები არაერთხელ შეხვდნენ ექსპერტებს. ამ შეხვედრებზე საფუძველი ჩაეყარა აქტიურ თანამშრომლობას, რომლის შედეგად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შიდა რეგულაციის ინსტიტუციონალური დოკუმენტური ბაზის შექმნაში ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის დახმარება იქნება.

- რაც შეეხება მაუწყებლის საქმიანობის ინსტიტუციონალიზაციას, ამ მიმართულებით საბჭო აგრძელებს მუშაობას მმართველობასთან, რომელმაც უკვე წარმოადგინა მაუწყებლის განვითარების გრძელვადიანი გეგმის, შესყიდვების პოლიტიკის, ადამიანური რესურსების პოლიტიკის, ფინანსური ანგარიშგების სისტემის სამუშაო ვარიანტები. გრძელდება მუშაობა საბჭოს შიდა რეგულაციის დოკუმენტაციის შექმნაზე, რომელიც უახლოეს მომავალში იქნება მიღებული. ყველა ხსენებული დოკუმენტის მიღებით შეიქმნება მაუწყებლის საქმიანობის ერთგვარი კოდექსი, რომელიც სრულად ასახავს ზემოაღნიშნულ ასპექტებს.

- ამავე პერიოდში საბჭომ გაააქტიურა მუშაობა საქართველოს პარლამენტთან, რომლის მიზანი იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ისეთი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელიც საბჭოს მუშაობას მეტ დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას შესძენდა. ამ მუშაობის პირველი ეტაპი დასრულდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებითა და დამატებებით (2009 წლის მარტი-აპრილი), რომლის საფუძველზე საბჭოს მართვაში გადავიდა მაუწყებლის ბიუჯეტის 1%, რომელიც უნდა განიკარგოს გარე აუდიტის, პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კვლევების, რეგიონებში მცხოვრებ მაყურებლებთან შეხვედრისათვის აუცილებელი სამივილინგო ხარჯების ანაზღაურებისა და კანონით განსაზღვრული საბჭოს სხვა უფლება-მოვალეობების დაუბრკოლებელი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

- პარლამენტთან ინტენსიური მუშაობა გრძელდება სხვა მიმართულებითაც - საქმე ეხება მაუწყებლის მეორე სატელევიზიო არხზე ახალი პროექტის დაწყებას, რომლის მიზანია

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისათვის საეთერო დროის გამოყოფა თანხლები სარედაქციო კომენტარის გარეშე. ამავე არხზე პარლამენტის სხდომების ტრანსლაციას დაემატება პარლამენტის კომიტეტების სხდომების ტრანსლაციაც, რაც არხს ქართულ ტელევიზორცეში სპეციფიკური ადგილის დამკვიდრების საშუალებას მისცემს. ამ პროექტის რეალიზაციაში მაუწყებელთან მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), რომლის თანადგომით საბჭოს წევრები შეხვდნენ რეგიონებში ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებს და მოისმინეს მათი მოსაზრებები ახალ იდეასთან დაკავშირებით. ეს შეხვედრები და მუშაობა გრძელდება; მის შედეგებს საზოგადოება უახლოეს მომავალში გაეცნობა.

ლევან გახელაძე

**საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე**